საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი 10.01.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
გიორგი ამილახვარი - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის" ვიცე-რექტორი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თამჯდომარის მოადგილე;
ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტო პროგრამების ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი სიტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ანა ფირცხალაშვილი - შპს :გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;
მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქარტველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;
თეა მჭედლური - საქართველოს არასამტავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

მოწვეული ექსპერტი:
გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მაჭარაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო შიოშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი:

გიგა ზედანია - რექტორი;
ნინო ჟვანია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო პატარაია - აკადემიური პერსონალი;
მარიამ დალაქიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო დოლიძე - დეკანის მოადგილე;
ნიკა ქოიავა - პროგრამის ხელმძღვანელი;
ირაკლი კაჭარავა - პროგრამის ხელმძღვანელი;
გიორგი ხიშტოვანი - პროგრამის ხელმძღვანელი;
მარიამ კიკნაველიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 17:20 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, სალომე თოთიბაძეს.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი) (ძირითადი სპეციალობები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2 სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის ორგანიზაცია და მართვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადებასთან დაკავშირებით რადგან საბჭოს წევრთა ინტერესთა კონფლიქტის გათვალისწინებით არ დგებოდა კვორუმი აღნიშნული საკითხის განსახილველად.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განახლებული დღის წესრიგი.

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი) (ძირითადი სპეციალობები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2 სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი) (ძირითადი სპეციალობები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი) (ძირითადი სპეციალობები)
პროგრამის საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203; 2. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში 0204; 3. ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში 1120.
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან საქმიანობდა აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც საბაკალავრო საფეხურის პროგრამის შემთხვევაში შეეხებოდა შემდეგ საკითხებს.

- მენეჯმენტის სპეციალობის მოდულის გაძლიერებას მენეჯმენტის მიმართულების საგნებით;
- ცალკეული სასწავლო კურსისათვის საკონტაქტო საათების რაოდენობის გაზრდას;

- ზოგიერთ სილაბუსში ლიტერატურის განახლების საჭიროებას;
- უსდ-ს მიერ შრომის ბაზრისა და პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევის მეთოდოლოგიის სრულყოფას, კვლევის შედეგების ვალიდურობის მიზნით და პოტენციური დამსაქმებლების ქმედითად ჩართვას პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა პირველი რეკომენდაციის შესახებ აღნიშნა, რომ მისი აზრით უკვე არსებული კურსები სავსებით საკმარისი იყო იმისათვის, რათა დაწესებულებამ გასცეს მენეჯმენტის კვალიფიკაცია. მისი თქმით ეს საგნები შერჩეულია საერთაშორისო პრაქტიკიდან გამომდინარე და წარმოდგენილ დუკუმენტაციაში თანდართულია თუ რომელი უნივერსიტეტების პროგრამებია საფუძვლად შერჩეული. ასევე, მისი თქმით კურსების შერჩევისას გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის პირადი გამოცდილებაც. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში შეიქმნა მრჩეველთა საბჭო და ისინიც ჩართულები არიან ამ პროცესში. მისი თქმით, მათ უგზავნიან სილაბუსებს და ისინი აძლევენ რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა ითვლებოდა თუ არა მრჩეველთა საბჭოს შეფასება გარე მონიტორინგად.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა და აღნიშნა, რომ მრჩეველთა საბჭოს წევრები არიან ბიზნესის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები და უნივერსიტეტს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და დაწესებულებაც ითვალისწინებს მათ რჩევებს. მეორე რეკომენდაციის შესახებ მან აღნიშნა, რომ იმ საგნებზე, რომლებიც უკავშირდება ციფრებს და მოითხოვს მეტ ძალისხმევას, შემცირდა სტუდენტების რაოდენობა ჯგუფებში. მაგალითად მათემატიკის მიმართულებით ჯგუფში 25-მდე შემცირდა სტუდენტთა რაოდენობა, სტატისტიკაზე კი 30-მდე. ასევე მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ნერგავს ვიდეო ლექციების კულტურას რათა ლექციამდე მომზადდეს თემები და ლექციებზე განიხილონ ცალკეული შემთხვევები. მისი თქმით, ეს აძლევს სტუდენტებს სასწავლო პროცესებში ჩართვის მეტ საშუალებას. მისი თქმით, ამჟამად ვიდეო-ლექციები არსებობს მიკროეკონომის, მაკროეკონომიკის, ფინანსებისა და მარკეტინგის მიმართულებით და ასევე იგეგმება მათი დამატება მათემატიკა 1-ის, მათემატიკა 2-ის, სტატისტიკა 1-ისა და სტატისტიკა 2-ის მიმართულებითაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ისინი იღებენ უკუკავშირს სტუდენტებისაგან თითოეულ კურსზე და ასევე პერიოდულად ხდება მთელი პროგრამის შეფასებაც. მისი თქმით, რიგ საგნებში არსებობს დამატებითი სასემინარო საათებიც სტუდენტთა მოთხოვნის შესაბამისად და ისინი ყოველთვის ითვალისწინებენ სტუდენტთა უკუკავშირს თუ არის საჭიროება სალექციო საათების დამატებისა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-3 რეკომენდაციის შესახებ აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც გაიმართა ვიზიტი მათ დაამატეს ფინანსების მიმართულებით ACCA F9 სახელმძღვანელო, რომელიც ახლა უკვე სავალდებულო სახელმძღვანელოა. ქართულენოვანი სახელმძღვანელოების

შესახებ კი მან აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით არ არსებობს ფუფუნება და შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლები ამზადებენ რიდერებს და ცდილობთ ამოვავსოთ ის სიცარიელე, როც არსებობს არა მხოლოდ მოცემულ უნივერსიტეტში, არამედ სრულად ქართულ საგანმანათლებლო სისტემაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ყველა საგნის ფარგლებში შედის თარმგნილი ქეისები, პერსონალის დიდი ნაწილი არიან პრაქტიკოსები. ასევე, ვიდეო ლექციებში გამოიყენება მხოლოდ უახლესი ვიდეოები მსოფლიოს წამყვანი ვიდეოები და ისინი შემოთავაზებულია სტუდენტებისათვის ქართულ ენაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა მეოთხე რეკომენდაციის შესახებ აღნიშნა, რომ როგორც უკვე ითქვა, დაწესებულებამ შექმნა მრჩეველთა საბჭო, რომელთა რეკომენდაციებიც გათვალისწინებულია და უნივერსიტეტი ცდილობს გააღრმავოს მათთან თანამშრომლობა, რათა სტუდენტებს მისცენ ისეთი უნარები, რომლებიც მეტად შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე-4 რეკომენდაციის შესახებ აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახური ატარებს სხვადასხვაგვარ შეფასებას, რათა მოხდეს პროგრამების შესაბამისი მოდიფიცირება და პროგრამები გახდეს მოთხოვნადი. ეს არის ფოკუს-ჯგუფები დამსაქმებლებთან, ასევე კურსდამთავრებულთა კვლევა, რომელიც სისტემურია დაწესებულებაში. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის დროსაც იყო საუბარი ამ კვლევებზე. მან ახსენა, რომ დასკვნაში აღნიშნულია, რომ 2017 წლის კვლევა არ იყო წარმოდგენილი, რადგან ის მიმდინარეა. ასევე, მისი თქმით მნიშნელოვანია ის, რომ, მასშტაბურია უნივერსიტეტში დასაქმების ფორუმები, სადაც ბიზნეს ორგანიზაციები მონაწილეობენ და ყველაზე დიდი ფორუმი ჩატარდა გასულ წელს. მან აღნიშნა, რომ ჩატარდა სტუდენტებისა და დამსაქმებლების მხრიდან შეფასება ამ პროცესის და ეს კვლევა წარდგენილი იყო მოცემული პროგრამის მიზნებისათვის და ხაზი გაუსვა იმას, რომ მხოლოდ ფოკუს-ჯგუფითა და საბჭოს უკუკავშირით არ შემოიფარგლება ხარისხის სამსახურის კვლევები პროგრამაში საჭირო ცვლილებების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიურ პერსონალს აქვს გამცოდილება წამყვანი ბიზნეს კომპანიებიდანაც და მათი გამოცდილებები ყოველთვის გაზიარებულია პროგრამაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მოწვეულ ექსპერტს, გიორგი თურქიას.

მოწვეულმა ექსპერტმა აღნიშნა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პროგრამა ხორციელდება სტუდენტების რაოდენობის მხრივ საქართველოში ყველაზე დიდი ბიზნეს სკოლის ბაზაზე. მან აღნიშნა, რომ პროგრამას არ აქვს წარმოდგენილი სამიზნე ნიშნულები. მან აღნიშნა, რომ სამიზნე ნიშნულები საკმაოდ ახალი რამ არის და გამოთქვა იმედი, რომ უნივერსიტეტი დახვეწს მათ. რეკომენდაციის შესახებ საათების დამატებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ მასში ყოველთვის უნდობლობას იწვევს ის გარემოება როდესაც ყველა საგანს აქვს ერთი და იგივე რაოდენობის კრედიტი და აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ პროგრამის შიდა მენეჯმენტში მოხდებოდა გადაფასება იმისა, თუ რომელ საგანს რა საათობრივი დატვირთვა სჭირდება. მან აღნიშნა, რომ პროგრამას 3 მოდული აქვს და თითოეულ მათგანში ბიზნესის

ადმინისტრირების ძირითად მოდულში 72 კრედიტი, თუმცა ტურიზმზე არის სპეციალობის 54 კრედიტიდა სხვა მოდულებში კი 42 და შენიშნა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ყველა მოდულზე ყოფილიყო კრედიტების თანაბარი რაოდენობა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება ერთ-ერთი პირველია ქვეყანაში მათს შორის, რომელიც ყოფს სასწავლო პროცესს არა რვა სემესტრად როგორც საქართველოს უმრავლეს სასწავლო დაწესებულებაშია მიღებული, არამედ გაზაფხული-შემოდგომის სემესტრის მიხედვით. თუმცა, მისი შენიშვნით აქ იყო პრობლემა, რადგან სტუდენტებს აქვთ საშუალება მესამე სემესტრიდან აირჩიონ სპეციალიზაცია, რაც, მისი აზრით ადრე იყო, რადგან პირველ კურსზე შემოთავაზებული იყო 60 კრედიტი ზოგადი საგნებით, რომელთაგან სპეციალობის იყო მხოლოდ ერთი ბიზნესის საფუძვლები მისი შენიშვნით, ამ პერიოდში რთული უნდა იყოს სტუდენტისათვის, რომ ჩამოყალიბდეს და უკვე სპეციალიზაცია აირჩიოს. რაც შეეხება ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად მოდულს, მან აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ დაემატებოდა ორი საგანი: მმართველობითი აღრიცხვა და ფინანსების საფუძვლები, რომელთაც სწავლობენ მენეჯმენტისა და ფინანსების მოდულში, მაგრამ არ სწავლობენ ტურიზმის მოდულში. მან აღნიშნა, რომ არის კურსი „ღონისძიებების მენეჯმენტი ტურიზმში", რომელიც შეიძლებოდა გადასულიყო არჩევით მოდულში, წინად ნახსენები ორი საგანი კი აუცილებელი იყო ტურიზმის სპეციალობისთვის იმის გათვალისწინებით, რომ მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო ბიზნესის ადმინისტრირებაში. მან ასევე აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ პროექტების მართვის კურსი, რომელიც არჩევითია მენეჯმენტის მოდულში, სავალდებულო გახდებოდა ყველა მოდულისათვის, რაც უპასუხებდა თანამედროვე ტენდენციებს. რაც შეეხებოდა არჩევით სავალდებულო მოდულს, სადაც პრაქტიკის სამი კურსია შემოთავაზებული: მეწარმე პრაქტიკოსი, სავალდებულო პრაქტიკა და საწარმოო პრაქტიკა. მან შენიშნა, რომ ამ სამი საგნიდან 1 უნდა აირჩიოს სტუდენტმა. მან შენიშნა, რომ მისი აზრით 3-ვე მოდულში არის ისეთ საგანი რომელიც კარგია, მაგალითად ბანკების პრაქტიკული კურსი ფინანსების მოდულში, რომელსაც, მისი აზრით, კარგი იქნებოდა თუ გაივლიდა ყველა ფინანსებისა მიმართულებით და აღნიშნა, რომ პრაქტიკა ამ საგანს ვერ ანაცვლებს. იგივეა მისი აზრით მეწარმეობის კურსი და მისი ჩანაცვლება პრაქტიკით არ იქნებოდა სწორი და აღნიშნა, რომ, თუ ტურიზმისა და მენეჯმენტის მოდულის სტუდენტებიც გაივლიან მას, არ იქნებოდა ცუდი. მან აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტს აქვს ცალკე კურსები პრაქტიკაში სხვადასხვა მოდულებზე, კარგი იქნებოდა სილაბუსების ცალკე გაწერა თითოეული მოდულისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ თუ პრაქტიკას იქნებოდა საბაკალავრო ნაშრომის ალტერნატივა, მაშინ ის უნდა ყოფილიყო გაწერილი ზედმიწევნით ზუსტად თუ რა პოზიციაზე შეიძლება მუშაობდეს სტუდენტი, როგორი ანგარიში უნდა დაწეროს და ა.შ, რადგან ალტერნატივა საკმაოდ დიდი იყო. იმ შემთხვევაში, თუ ორივე იქნებოდა სავალდებულო, მაშინ შეიძლებოდა ასე დარჩენილიყო, თუმცა მოცემული ვარიანტით პრაქტიკის სილაბუსის ზედმიწევნით გაწერა იყო საჭირო. მან ასევე აღნიშნა, რომ გასულ წელს საბჭოს ჰქონდა შენიშვნები მოცემული დაწესებულებასთან, ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომების პრაქტიკასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ თუკი კანონმდებლობა აძლევდა უნივერსიტეტს ამის გაკეთების საშუალებას, ამაში არ იყო არაფერი ცუდი, მაგრამ მაინც საჭირო იქნებოდა, რომ დეტალურად გაწერილიყო, თუ რა მოთხოვნები არსებობს კონკრეტულ სტუდენტებთან დაკავშირებით, რადგან, მისი თქმით, არ იქნებოდა სწორი თუ 1 სტუდენტსაც და 3 სტუდენტსაც მოთხოვდნენ

ერთსა და იმავე რაოდენობის შრომას. ასევე, მან აღნიშნა, რომ ასევე კარგი იქნებოდა ტურიზმის მოდულში ბრენდინგის დამატება არჩევით საგნებში მაინც, რადგან, მისი შენიშვნით ბრენდინგი თანამედროვეობაში ძალიან დიდ როლს თამაშობდა, ტურიზმის მიმართულებითაც მათს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საკმაოდ დიდი მოცულობის მასალები გადაეცა საბჭოსა და ექსპერტებს და აღნიშნა, რომ სქემის გაცნობა მაინც კარგი იქნებოდა, რადგან შესავალი ბრენდინგში არის არჩევითი კურსი ტურიზმისთვისაც. ასევე მან აღნიშნა, რომ პროგრამის კვალიფიკაციაა პირველ რიგში ბიზნესის ადმინისტრირების და მხოლოდ შემდეგ მენეჯმენტში, ტურიზმსა და ფინანსებში და შენიშნა, რომ ფინანსური აღრიცხვა ისედაც ისწავლება, რადგან პირველ წელს სტუდენტები გადიან ზოგადი მოდულის საგნებს, როგორიცაა ბიზნესის საფუძვლები და ამას მოყვება ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო მოდულის საგნები. მან აღნიშნა, რომ ფინანსური აღრიცხვა და ფინანსების საფუძვლები სავალდებულო იყო სამივე მოდულში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სამიზნე ნიშნულებიც არსებობს პროგრამისათვის. კრედიტების რაოდენობასა და საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ვიდეო-ლექციების კულტურა ემსახურებოდა იმას, რომ სასწავლო პროცესში მეტი დატვირთვა ყოფილიყო სასემინარო საათებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამაზე არსებობს კურსების სემესტრული გადანაწილების გეგმაც სადაც თითოეული მიმართულებითაა განსაზღვრული თუ რას სწავლობენ თითოეულ სემესტრში სტუდენტები. სავალდებულო არჩევითი ბლოკის შესახებ მან აღნიშნა, რომ მისი გაჩენა იყო გარე შეფასების შედეგი და სწორედ აკრედიტაციის საბჭომ მიაწოდა რეკომენდაცია რომ პრაქტიკის კომპონენტი გაძლიერებულიყო და ამ მოდულის შემქნა დაწესებულებაში მიიჩნიეს საუკეთესო გამოსავლად, რომელიც სტუდენტებს აძლევდა ალტერნატივას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მიმართულებით გაივლიდნენ ისინი პრაქტიკას. მან აღნიშნა, რომ სტუდენტს შეუძლია პრაქტიკული საბაკალავრო ნაშრომი შექმნას, ასევე არსებობს შესაძლებლობა, რომ უნივერსიტეტმა მიავლინოს სტუდენტი პრაქტიკაზე ანდა, თუკი სტუდენტი მუშაობს, თავისივე სამსახურიდან მოიტანოს ცნობა პრაქტიკის შესახებ და ასევე, მისი თქმით გაჩნდა პრაქტიკული კურსები თითოეული მიმართულებით და მან გაუსვა ხაზი, რომ სავალდებულო არჩევით ბლოკში მინიმუმ 6 კრედიტია გასავლელი და ეს კრედიტები არ არის ამ მოდულის ლიმიტი და სურვილის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია სამივე აირჩიოს.

მოწვეულმა ექსპერტმა, გიორგი თურქიამ შენიშნა, რომ დაუშვა უზუსტობა ბრენდიგის სწავლების საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან ნამდვილად იყო ასახული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დავით სიხარულიძემ შენიშნა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა მენეჯმენტის მოდულის გაძლიერებას დამატებითი საგნებით. მან აღნიშნა, რომ ფინანსური აღრიცხვის პრინციპები არის ძირითადში შემოთავაზებული, თუმცა აღნიშნა, რომ ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები სწორედ მხოლოდ მენეჯმენტის მიმართულებით არის შემოთავაზებული და აღნიშნა, რომ მისი აზრით ეს არ არის მენეჯმენტის კურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დასაზუსტებლად იკითხა, იყო თუ არა ექსპერტის შენიშვნა ის, რომ მენეჯმენტის მიმართულებიდან ამოიღონ ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლების საგანი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ის სხვა რამეს გულისხმობდა. მისი თქმით, ფინანსური მენეჯმენტის კურსი არის მნიშვნელოვანი ყველა მიმართულებით და მისი შენიშვნა ეხებოდა უშუალოდ მენეჯმენტის მიმართულების გაძლიერებას, ხოლო კონკრეტულად მოცემული კურსი კი მისი აზრით სავალდებულო უნდა იყოს ყველა მოდულისათვის, რადგან ეს კურსი საბაზისოა ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაციისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სიტუაციის დილემურობა იმაში მდგომარეობს, რომ ახალი საგნის დამატება აუცილებლად გულისხმობს სხვის ამოღებას, ანუ ერთი მიმართულების გაძლიერება გამოიწვევს სხვის შესუსტებას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მენეჯმენტის ახალი კურსების დამატებით აუცილებლად გაძლიერდება მენეჯმენტის სპეციალიზაცია. თუმცა მან ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა ამ ეტაპზეც მოახერხებდა შედეგებზე გასვლას, რაც იყო იმის მიზეზი, რომ მოცემულ სტანდარტში შეფასება იყო მეტწილი შესაბამისობა და არა ნაწილობრივი.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ ამ სიტუაციაში ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისა და მოწვეული ექსპერტის შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდა და საბჭოს წევრებს ჰკითხა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გიორგი ამილახვარმა თქვა, რომ პერსონალთან დაკავშირებით ჰქონდა კითხვა. მან აღნიშნა, რომ დიდი მოცულობის პროგრამა იყო წარმოდგენილი სტუდენტების რაოდენობის თვალსაზრისით და აღნიშნა, რომ პერსონალის რაოდენობა არის 155 და მათ შორის 110 არის მოწვეული და იკითხა, ხომ არ შექმნიდა ეს მოცემულობა გრძელვადიან პერსპექტივაში მდგრადობის პრობლემას ადამიანური რესურსის კუთხით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ იგი რამდენიმე წლის წინ იყო დაწესებულებაში და ამჩნევდა პროგრესს ამ მიმართულებით და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის თვალსაზრისით მოცემული თანაფარდობა არ შექმნიდა მდგრადობის პრობლემას პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს კითხვა უფრო ავტორიზაციის პროცესისთვის იყო რელევანტური და დაამატა, რომ ნამდვილად საგრძნობლად შეიცვალა პერსონალის რაოდენობა დაწესებულებაში და არ შეექმნებოდა პროგრამის მდგრადობას პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა მოახსენა საბჭოს, რომ ახსნიდა, თუ როგორ ხდება პროგრამაზე პერსონალის განაწილება პროგრამის დიზაინიდან გამომდინარე. მან აღნიშნა, რომ კონკრეტულ მიმართულებებზე არსებობენ ხელმძღვანელები, რომლებიც ადგენენ კურიკულუმს კონკრეტული მიმართულებებით, მაგალითად ფინანსების, მენეჯმენტის და ა.შ. და ისინი უზრუნველყოფენ ამ კურიკულუმის დანერგვასა და განვითარებას. მისი თქმით, ეს უკანასკნელები ზედამხედველობენ მოწვეულ პედაგოგებს და ამ პროცესში მნიშვნელოვანია ინსტრუქტაჟის სპეციფიკაც, რადგან პროგრამა არის აწყობილი ნაკადზე და ინსტრუქტაჟი ისე არ

ვარირებს, როგორც ეს შეიძლება ხდებოდეს სხვა პროგრამებზე. მისი თქმით, სწავლება ხდება კოჰორტის მიხედვით და ამითაა განპირობებული დიზაინი.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა იკითხა, თუ როგორ მოხდა ინგლისურენოვანი ლიტერატურის განახლება რიგ საგნებში და ხდებოდა თუ არა ინგლისურენოვანი ლიტერატურის გამოყენება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ განახლება მოხდა ქართული თარგმანის საშუალებით, რადგან, გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ქართულენოვანია, შესაბამისად უნივერსიტეტს აქვს ვალდებულება, რომ ძირითადი ლიტერატურა შესთავაზოს ქართულ ენაზე თუმცა, დაწესებულების წარმომადგენლები ასევე ცდილობენ შესთავაზონ სტუდენტებს რიდერები, სადაც ასახულია უახლესი ცოდნა. ქართულენოვან სახელმძღვანელოებში კი, მისი თქმით ისინი ყოველთვის ცდილობენ, რომ სტუდენტებს შესთავაზონ არსებულთა უახლესი გამოცემები.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ მისი კითხვა უფრო მდგომარეობდა იმაში, თუ რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ ინგლისურენოვან სახელმძღვანელოს სთავაზობდნენ ისეთ სტუდენტს, რომელიც მოდიოდა უნივერსიტეტში სხვა ენის ბაზით, თუმცა აქვე დაამატა, რომ ამ კითხვაზე უკვე მიიღო დაწესებულების პასუხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგადად პროგრამაზე ცდილობდნენ, რომ გაეუმჯობესებინათ სტუდენტთა ინგლისური ენის კომპეტენცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა იკითხა, თუ რას აძლევდა განსხვავებულს სტუდენტს ვიდეო ლექციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამის საშუალებით დაწესებულება ამრავალფეროვნებდა სასწავლო მასალებს და ეს იყო დამატებითი რესურსი. გარდა ამისა, მისი თქმით, თუკი სტუდენტს არ აქვს ენის საკმარისი კომპეტენცია იმისათვის, რომ გაეცნოს მიმდინარე სიახლეებს დარგში, ვიდეო-ლექციების საშუალებით მათ საშუალება ეძლეოდათ გაცნობოდნენ უახლეს ცოდნას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, ვიდეო-ლექციაში სტუდენტს შეუძლია რამდენიმეჯერ ნახოს რესურსი თუნდაც გზაში უნივერსიტეტისაკენ და მისთვის უფრო მოსახერხებელია საკითხების გამეორება. მისი თქმით, ეს აძლევს მათ საშუალებას, რომ დასვან მეტი კითხვები ლექტორებთან კონტაქტისას და აძლევს პერსონალს დროს, რომ მოიტანონ ქეისები განსახილველად. თუმცა, აქვე აღნიშნა, რომ ეს არც ერთ შემთხვევაში არ ანაცვლებდა სალექციო პროცესს და იყო მხოლოდ დამატებითი რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიდეო-ლექციების კულტურის გამოყენება პირდაპირ არ დაწყებულა ყველა სტუდენტთან და ის ჯერ ექსპერიმენტულად დაიტესტა. მისი თქმით, დატესტვისას ბრმად შეიქმნა 2 ჯგუფი, ერთი საცდელი და ერთი საკონტროლო. ჩატარდა წმინდა ექსპერიმენტი. ერთ ჯგუფში სწავლა მიმდინარეობდა ტრადიციული მეთოდით, მეორეში კი იყენებდნენ ვიდეო-ლექციებს და შეჯერებისას მათ შორის აღმოჩნდა დიდი განსხვავებები,

როგორც მონაწილეთა ჩართულობაში, რამეთუ როდესაც ვიდეო-ლექციებს იყენებენ, მეტი აქცენტია სასემინარო მუშაობაზე გადატანილი, ასევე აკადემიურ მოსწრებაშიც და იმ ჯგუფში, სადაც იყენებდნენ ვიდეო-ლექციებს იყო უფრო მაღალი აკადემიური მოსწრება.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა იკითხა, ხომ არ იყო სამართლებრივი პრობლემები ამ ვიდეო-რესურსების გამოყენებისას, ერთი მხრივ უშუალოდ შინაარსის მიმართულებით და მეორე მხრივ იმ ადამიანების თვალსაზრისით, რომლებიც მონაწილეობენ ამ ვიდეოებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ საავტორო უფლებების საკითხი თუ დგება, ხდება კომუნიკაცია უნივერსიტეტებთან. თუმცა, ამ მიმართულებით მსოფლიოში ისეთი ტენდენციაა, რომ ხშირად ხდება ღია რესურსების გაზიარება.

გამომდინარე იქიდან, რომ მეორე საკითხად განიხილებოდა იმავე დაწესებულების პროგრამის აკრედიტაციის საკითხი, რომელიც შეფასდა ექსპერტთა იდენტური ჯგუფის მიერ, საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი გამოვიდა ინიციატივით, რომ ხომ არ ჯობდა ორივე საკითხზე გამართულიყო ზეპირი მოსმენა და შემდგომ გამოეცხადებინა საბჭოს გადაწყვეტილება თითოეულ მათგანზე. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს დამსწრე წევრებმა.

2. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის მენეჯმენტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის მენეჯმენტი)
პროგრამის საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	1. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში 0203; 2. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში 020401; 3. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ტურიზმში 1120.
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს წევრმა, მაკა ლაშხიამ განსახილველ საკითხთან მიმართებით განაცხადა თვითაცილება, ვინაიდან საქმიანობდა აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მოახსენა, რომ საბჭო იცნობდა მათ დასკვნას, მასში ასახულ რეკომენდაციებს და ჰკითხა, ხომ არ სურდათ რაიმეს დამატება პროგრამის შესახებ.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო რეკომენდაციები სამაგისტრო პროგრამის შესახებ, რომლებიც ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- დაიხვეწოს სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დახვეწას;
- სამაგისტრო პროექტისა და ნაშრომის შეთავაზების საჭიროებას სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ ფორმატში (გამონაკლის შემთხვევებში, თემის სირთულიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ჯგუფურ ფორმატში);
- სასწავლო კურსის ,,რაოდენობრივი მეთოდების" მოდიფიკაციას;

- შრომის ბაზრისა და პოტენციურ დამსაქმებელთა მოთხოვნის კვლევის მეთოდოლოგიის სრულყოფას, კვლევის შედეგების ვალიდურობის მიზნით და პოტენციური დამსაქმებლების ქმედითად ჩართვას პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსათვის და აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაციის შემთხვევაში კარგად ვერ მოხდა გადმოცემა ან გაგება იმისა, თუ როგორაა მექანიზმები ფორმირებული. მან აღნიშნა, რომ პროგრამას აქვს 3 მოდული და შესაბამისი კომპეტენციები. მისი თქმით, ზოგიერთ კომპეტენცია მეორდება. მისი თქმით, მენეჯერული კომპეტენცია საჭიროა სამივე მოდულში. შესაბამისად, მან აღნიშნა, რომ სქემიდან გამომდინარე ზოგიერთი კომპეტენცია გაერთიანდა და აგრეგირებული სახელები ეწოდა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, კვლევების სტატისტიკა და ფინანსები და სწორედ ამ კომპეტენციების მიხედვითაა შემდეგ განაწილებული შედეგებზე გასვლის კრიტერიუმები და შეფასებები. ამ სქემის მიხედვით, თუ ფინანსურ ანალიზში წერია მენეჯმენტთან ნული, ეს არ ნიშნავს, რომ მენეჯმენტის მიმართულებაზე ფინანსებს არ გაყავს შედეგზე, არამედ იმას, რომ მენეჯმენტის კომპეტენციაში არ არის ეს საგანი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია იყო საბაკალავრო პროგრამაზე გაცემულის მსგავსი.

მოწვეულმა ექსპერტმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ შეიძლება ტექნიკურ შეცდომას ჰქონდეს ადგილი, რადგან ფინანსური მენეჯმენტი უნდა იყოს სავალდებულო ყველა მოდულისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამაში მენეჯმენტის მიმართულებით იყო ფინანსური მენეჯმენტის კურსი, რომელიც შესაბამისად გადიოდა მენეჯმენტის სწავლის შედეგზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ფინანსური მენეჯმენტი 1-ის კურსი ფინანსების სწავლის შედეგზე გადის მენეჯმენტის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ მაგალითად, მენეჯმენტის მიმართულებით შედეგებზე გასვლა შესაძლებელია ოთხი მიმართულებით, მარკეტინგით, კვლევებითა და სტატისტიკით, ფინანსებითა და მენეჯმენტით. შესაბამისად, ფინანსების მიმართულებით, მენეჯმენტის კომპეტენციაზე გასვლა ხდება ფინანსური მენეჯმენტით. მოცემული პრინციპით ხდება მოდულებისათვის საჭირო საგნების დაფარვა.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მიმართლებით მიმდინარეობს მსჯელობა და მუშაობა და ითვალისწინებენ ამ რეკომენდაციას, მიმდინარეობს ასევე კვლევა, იღებენ უკუკავშირს და ამის მიხედვით ისინი ან შეცვლიდნენ შეფასების კრიტერიუმებს ან იმუშავებდნენ იმაზე, გახდეს თუ არა ნაშრომი ინდივიდუალური.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხვა პროგრამებზე იყო ასეთივე რეკომენდაციები გასულ წელს და მათ მიაჩნდათ, რომ ეს არის კარგი მოდელი, ისწავლონ

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე ჯგუფური მუშაობა. მან აღნიშნა, რომ კვლევა დასრულდა ამ მიმართულებით, არსებობს მონაცემები და როგორც აკადემიური მოსწრების შესახებ, ისე უკუკავშირი და თვისებრივი მონაცემები და გეგმავენ მიიღონ გადაწყვეტილება, თუ როგორ შეიძლება გაუმჯობესდეს ეს მოდელი და განიხილება ის საკითხი, თუ როგორ უნდა აისახოს ინდივიდუალური კონტრიბუცია სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მთლიანი ნაშრომი მოიცავს შეფასებას სხვადასხვა საფეხურზე. მისი თქმით, მაგისტრებს აქვთ საკონტაქტო საათები ხელმძღვანელთან. ამასთან ერთად, ხდება რეცენზირება და საბოლოოდ კი კომისიის მიერ ხდება შეფასება. შესაბამისად გათვალისწინებულია როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური შეფასება. მან აღნიშნა, რომ სტუდენტების სიმპათიები ამ მოდელისადმი განსხვავდება პიროვნული პრეფერენციების მიხედვით, თუმცა გამოთქვა რწმენა, რომ ეს მოდელი ბიზნესის ადმინისტრირებისათვის მართებულია, თუმცა ხაზი გაუსვა, რომ შესაძლებლად მიაჩნდა ინდივიდუალური შეფასების კომპონენტის უფრო მეტად დახვეწაც.

მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რაოდენობრივ ანალიზში დიდწილად ნამდვილად რეგრესიული ანალიზია მოცემული, თუმცა მან აღნიშნა, რომ ბიზნესის კვლევის მიმართულებით არსებობდა ცალკე საგანი, ასევე მოდელირება ექსელში, სადაც ხდება რაოდენობრივი მეთოდების მიმართულებით ცოდნის მიღება და გამდიდრება. თუმცა, ამ მიმართულებითაც ყოველ-სემესტრულად ხდება სტუდენტების უკუკავშირის მიღება და სრულყოფა და გაუმჯობესება მუდმივად ხდება.

ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დამსაქმებელთა ჩართულობის გასაზრდელად შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, ასევე ხდება პრაქტიკოსი ლექტორების მოწვევა პროგრამაზე, რომლებიც პარალელურად დამსაქმებლებიც არიან და ეს ხელს უწყობს პროგრამის დახვეწას, რადგან მათ თავად იციან, თუ რა სჭირდება ბაზარს. მან აღნიშნა, რომ აქტიურად ხდება მუშაობა, გამოწვევა არსებობს, თუმცა თუნდაც მრჩეველთა საბჭოს შექმნა უკვე წინგადადგმული ნაბიჯია ამ მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა მოწვეულ ექსპერტს.

მოწვეულმა ექსპერტმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, რომ პრობლემად არ ეჩვენებოდა სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც მუშაობდნენ სამაგისტროზე, არამედ პრობლემა არის ის, თუ როგორ არის ასახული მათი ინდივიდუალური კონტრიბუციები. მან აღნიშნა, რომ ფინანსების მოდულში საბანკო საქმის საგნების ნაკლებობა იყო. მან ჩამოთვალა ამ მიმართულების კურსები და აღნიშნა, რომ რადგან კვალიფიკაცია არის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში, კარგი იქნებოდა საბანკო საგნებით თუ გამდიდრდებოდა. ფინანსური მენეჯმენტის შესახებ მან აღნიშნა, რომ ეს ტექნიკური შეცდომა უნდა ყოფილიყო, რადგან ეწერა არჩევითში და უმჯობესი იყო ყოფილიყო სავალდებულო მოდულში. ასევე მან აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა, თუ ძირითად კომპონენტებს დაემატებოდა მმართველობითი აღრიცხვის კურსიც, რადგან ეს მისი აზრით სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო მენეჯერისთვის ნებისმიერ დარგში.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა პროგრამის ფინანსური მდგრადობის საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილია და იქ ნათლად ჩანს, რომ პროგრამა ახერხებს იყოს მდგრადი ფინანსურად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა აღნიშნა, რომ მისი კითხვა რეალურად ეხებოდა იმას, თუ რა არის პროგრამის ფარგლებში ის პრიორიტეტული საკითხები, რომელთა დაფინანსებაც უფრო უპრიანად მიაჩნდა პროგრამის მენეჯმენტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაფინანსება მიმდინარეობს უნივერსიტეტის სხვა რესურსებიდან და ასევე ბიუჯეტიდან. მისი თქმით, პროფესიული გადამზადებისთვის ცალკე არსებობს ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს გადამზადებას. მან აღნიშნა, რომ ახლა მიმდინარეობდა ტრენინგ პროგრამის დანერგვა, ვიდეო-ლექციების კულტურის შესახებ, ასევე დისტანციური სწავლების შესახებ და აქტიური სწავლების შესახებ. მისი თქმით, პროფესიული განვითარებისათვის ცალკე თანხები და რესურსები იყო მიბმული და იგეგმებოდა ასევე პლაგიატის საკითხზე მუშაობაც. მან ასევე აღნიშნა, რომ კვლევის დაფინასნების წესიც არსებობდა უნივერსიტეტში, თუმცა არსებობს მოთხოვნები, რომ მსურველს უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული სტატიები. მან ასევე აღნიშნა, რომ არსებობდა ბიზნესის კვლევის ცენტრი, რომლის ხელმძღვანელიც ესწრებოდა სხდომას და მისი თქმით, ისინიც რთავდნენ სტუდენტებსა და პერსონალს კვლევით პროექტებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელიც იყო ზემოთხსენებული კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, აღნიშნა, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო სამაგისტრო საფეხურზე სტუდენტებმა გამოიმუშავონ კვლევითი უნარები და მაგისტრანტები არაერთ კვლევით პროექტში არიან ჩართულები.

საბჭოს წევრმა, სალომე თოთიბაძემ იკითხა, თუ როგორი იყო მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით. იყო თუ არა ბიუჯეტში გათვალისწინებული თანხები ამ მიმართულებით, თუ ძირითადად გრანტების საშუალებით ფუნქციონირებდნენ და ასევე ის, თუ რამდენადაა განვითარებული მობილობის კულტურა და ჩამოდიან თუ არა მოწვეული უცხოელი პროფესორები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძირითადი შემოსავალი უნივერსიტეტისათვის იყო სწავლის საფასური, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს მემორანდუმები არაერთ უცხოურ უნივერსიტეტთან და ხდება როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის გაცვლა. მისი თქმით, ეს ძირითადად ხდებოდა ერასმუს პლიუსის ის ფარგლებში და შესაბამისად ეს პროექტი ფინანსდებოდა ევროკომისიის მიერ. მან აღნიშნა, რომ სტუდენტებიც და პერსონალიც აქტიურად იყენებენ ამ რესურსს. მან ასევე თქვა, რომ დაწესებულება იყო ერთ-ერთი პირველი, რომელთაც ჰქონდა ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები ინგლისურ ენაზე. შესაბამისად, ამით იზიდავდნენ უცხოელ სტუდენტებს და ეს იყო დამატებითი შემოსავალი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ერასმუსის გარეთ უნივერსიტეტს აქვს ორმაგი ხარისხის პროგრამა ბურგენლანდის უნივერსიტეტთან, ასევე ურთიერთობები ბრემენის უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც გამოყოფილია თანხები პერსონალის განვითარებაზე. ამ მისი თქმით, გერმანული მხარე გამოყოფს ძირითად თანხებს აქტივობებისათვის, უნივერსიტეტი კი აფინანსებს მგზავრობას.

საბჭოს თავმჯდომარე, ქეთევან ქოქრაშვილი დაინტერესდა, თუ უშუალოდ უნივერსიტეტი რას აკეთებდა ამ მიმართულებით, რადგან ერასმუსი ხელმისაწვდომი იყო ბევრი სხვა უნივერსიტეტისათვისაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პრიორიტეტები კარგადაა ასახული სკოლის სტრატეგიულ გეგმაში, სადაც ერთ-ერთი საკითხი არის ინტერნაციონალიზაცია. მან აღნიშნა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ სხდომაზე განხილული პროგრამები ქართულენოვანი იყო, მათ არ მოუწოდებიათ დამატებითი მასალა ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ერასმუსის ფარგლებს-გარეთ, საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვაზე უნივერსიტეტი დებდა ძალიან დიდ ძალისხმევას. მისი თქმით, დაწესებულება ამჟამად მუშაობდა ჩინურ მხარესთან, სტუდენტების მოსაზიდად, ასევე ნახსენები იყო ბურგენლანდის უნივერსიტეტთან კავშირის, რომელიც არ არის ერასმუსის ნაწილი და შენიშნა, რომ ბიუჯეტშიც არის სწავლის ხარისხის განვითარებისა და პრაქტიკაზე ორიენტირების საკითხები ასახული.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, ითვალისწინებდა თუ არა პროგრამა პრაქტიკული კომპონენტის თვალსაზრისით პრაქტიკას ან კლინიკას.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მაგისტრანტების 95% არის დასაქმებული და შესაბამისად ნაკლებად არსებობდა პრაქტიკის საჭიროება და ასევე სამაგისტრო ნაშრომიც მოიაზრებდა ბიზნეს-სექტორში გამოყენებითი კვლევის ჩატარებას.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, თუ დაუსაქმებელი 5% რა მდგომარეობაში იქნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებას აქვს ფაბლაბი, ზუმაუთი და სხვა აქტივობები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ სხვადასხვა სტარტაპებისა და პროექტების განხორციელება. ასევე, მისი თქმით, არსებობს ტურიზმის მიმართულებით პროექტი სადაც სტუდენტები წარმოადგენენ პროექტებს და ყველა ეტაპს თავად ახორციელებენ პროფესორების დაკვირვების ქვეშ და ასევე, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება შეეცადა გაეძლიერებინა მეწარმეობის კურსის პრაქტიკული კომპონენტი. მისი თქმით, დაწესებულება არ ამზადებს მხოლოდ თანამშრომლებს, არამედ შესაძლებელია მომზადდნენ მკვლევარებიც. ასევე უნივერსიტეტის პრიორიტეტი არის საწარმოო უნარების განვითარება, რის საფუძველზეც სტუდენტები შეძლებენ შექმნან სტარტაპი და ჩართონ სხვა სტუდენტები, შესაბამისად პროგრამა აძევდა მრავალფეროვან დასაქმების საშუალებას.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, განხორციელდა თუ არა გარე-შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულება იყო პირველი, რომელმაც შექმნა დუალური პროგრამა ბიზნესის ადმინისტრირებაში ავსტრიულ უნივერსიტეტთან ერთად

და იქაური პროფესორები იყვნენ აქტიურად ჩართულები პროგრამის შეფასებაში. შესაბამისად, მისი თქმით, ეს კომპონენტიც უზრუნველყოფილი იყო პროგრამაში.

საბჭოს წევრმა, სერგო ჭელიძემ იკითხა, ითვალისწინებდა თუ არა პროგრამა აკადემიური წერის კომპონენტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პროგრამა ითვალისწინებდა ხსენებულ საკითხს. მისი თქმით, ბევრი სტუდენტი მოდიოდა საბაკალავრო ბაზით, ამავე დაწესებულებიდან, სადაც ისინი ისედაც სწავლობდნენ აკადემიურ წერას, თუმცა სხვა შემთხვევებისთვისაც სამაგისტრო საფეხურზე ისწავლებოდა აკადემიური წერა და ასევე უნივერსიტეტში არსებობდა აკადემიური მუშაობის ცენტრი, რომელიც არაერთ ტრენინგს ატარებს წლის განმავლობაში.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლურმა იკითხა, თუ როგორ ხდებოდა ჯგუფური სამაგისტრო ნაშრომების შეფასებისას თითოეული სტუდენტის კერძო კონტრიბუციის შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ნაშრომი რამდენიმე ეტაპად ფასდებოდა. ჯერ აფასებდა ხელმძღვანელი, შემდეგ რეცენზენტი და ბოლოს კომისია. მისი თქმით, ამ სამი ეტაპიდან უზრუნველყოფილი იყო ინდივიდუალური შეფასება ორ ეტაპზე, ხელმძღვანელისა და კომისიის მიერ, ხოლო რეცენზენტი აფასებდა თავად ნაშრომს. მან აღნიშნა, რომ ხელმძღვანელი მოქმედებდა გრაფიკის მიხედვით და აქტივობები იყო დაგეგმილი თითოეულ სტუდენტთან, შესაბამისად ის აფასებდა ყოველ სტუდენტს მისი კონკრეტული აქტივობისა და დადებული შედეგის მიხედვით.

საბჭოს წევრმა თეა მჭედლიურმა, იკითხა თუ რა მოხდებოდა მაშინ, თუ მოიტანდნენ სხვის მიერ დაწერილ სამაგისტრო ნაშრომს.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ასეთი რამ ვერ მოხდებოდა, რადგან წინასწარ ხდებოდა სტუდენტთა კონტრიბუციის დაგეგმვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაცია არის ბევრი დაწესებულების სუსტი მხარე და დოკუმენტაციაშიც და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებშიც უმრავლესობა აღნიშნავდა რომ უნივერსიტეტს გააჩნია მექანიზმი, რომელსაც იყენებენ და ჩართულები არიან გაცვლით პროგრამებში.

19:00 საათზე გამოცხადდა შესვენება

19:30 საათზე განახლდა სხდომა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 სექტემბრის №1881 განკარგულებით, 2011-2012 წლებში ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით აკრედიტებულ პროგრამებს აკრედიტაციის ვადა გაუხანგრძლივდათ 2018 წლის 31 დეკემბრამდე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების კანონიერი ინტერესებისა და უფლებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იყო, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2018 წლის 31 დეკემბრიდან,

რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო პროგრამის სტატუსის უწყვეტობა. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი) (ძირითადი სპეციალობები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმი) (ძირითადი სპეციალობები) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 31 დეკემბრიდან.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე დასკვნასა და საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად, აგრეთვე დაწესებულებას უნდა წარმოედგინა ადამიანური რესურსების მდგრადობისა და პერსონალის თანაფარდობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

საბჭოს რეკომენდაციები:

- არჩევით სავალდებულო მოდულის კონცეფციის გააზრება - წარმოდგენილი სამი საგნის რელევანტურობის განსაზღვრა
- პრაქტიკის სილაბუსის გაწერა კონცენტრაციების მიხედვით
- კურუკულუმის იმგვარად აწყობა, რომ სპეციალიზაციის არჩევის მომენტისთვის სტუდენტებს ჰქონდეთ უფრო ფართო ცოდნა და არ იყოს დამყარებული მხოლოდ ერთი საგნის ,,ბიზნესის საფუძვლების" ცოდნაზე
- ყველა სპეციალიზაციის მოდულის სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს ბიზნესის ადმინისტრირების საბაზისო საგნების სწავლების ხელმისაწვდომობა
- ჯგუფურად შესრულებულ სამუშაოებში ცალკეული სტუდენტისთვის შესასრულებელი სამუშაოს და მისანიჭებელი კრედიტების მოცულობის გაწერა

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის მენეჯმენტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3^1 პუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისი N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის მე-7 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი, საბანკო და საფინანსო საქმე, ტურიზმის მენეჯმენტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.
გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2018 წლის 31 დეკემბრიდან.

საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 6 თვე დასკვნასა და საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად.

საბჭოს რეკომენდაციები:

- ტექნიკური უზუსტობების გასწორება კერძოდ ფინანსური მენეჯმენტის არჩევითიდან სავალდებულოში გადატანა
- ფინანსების მოდულის გაძლიერება შესაბამისი საგნებით, რომელიც უზრუნველყოფს კვალიფიკაციას - ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში
- მმართველობითი აღრიცხვის ძირითად კომპონენტში დამატება
- პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.
- ნათლად გაწერილი და დასაბუთებული აღწერა იმისა თუ როგორ შეასრულებდა სტუდენტი 30 კრედიტის დატვირთვას ინდივიდუალურად სამაგისტრო ნაშრომის ჯგუფურად შესრულების დროს. წინააღმდეგ შემთხვევაში დაწესებულება უნდა გადავიდეს ინდივიდუალურ სამაგისტრო ნაშრომებზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 20:00 საათზე საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი

სალომე თოთიბაძე